ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 288

“19” ივნისი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, დ.აღმაშენებლის გამზირი №31-41-ის მიმდებარედ არსებული 193 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.16.05.026.024) 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ფაჰად აფზალისთვის (პ/ნ. 34602-5511803-7; C/№:BU1518033) და აიმა დანიელისთვის (პ/ნ. 42301-5644909-4; C№:BB9859092) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №31-41-ის მიმდებარედ არსებული 193 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.16.05.026.024) 10 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ფაჰად აფზალისთვის (პ/ნ 34602-5511803-7; C/№:BU1518033) და აიმა დანიელისთვის (პ/ნ. 42301-5644909-4; C№:BB9859092) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 12 ივნისის №25.955.1073 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზირი №31-41-ის მიმდებარედ არსებული 193 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.16.05.026.024) ამ განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილ სიტუაციურ ნახაზზე მონიშნული 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით ფაჰად აფზალისთვის (პ/ნ. 34602-5511803-7; C/№:BU1518033) და აიმა დანიელისთვის (პ/ნ. 42301-5644909-4; C№:BB9859092) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, ღია კაფეს განთავსების მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 2 400 (ორი ათას ოთხასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**